ტფილისისა და მოსკოვის ფეხბურთელების შეხვედრა

30 მაისს “დინამოს” სტადიონზე გაიმართა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა. ერთმანეთს შეეჯიბრნენ მოსკოვის ახლად დაარსებული საზოგადოების “სტალინეცისა” და ტფილისის “დინამოს” ფეხბურთელები. “სტალინეცის” საზოგადოების გუნდი მოსკოვის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს წარმოადგენს, ამიტომ ხსენებული გუნდების შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია და სტადიონ-ზე 15.000-დე მაყურებელს მოუყარა თავი.

ორივე გუნდი სწრაფად იწყებს თამაშს მიუხედავად მთელი რიგი სახიფათო მომენტებისა, თამაშის პირველი განყოფილება უშედეგოდ დამთავრდა. მეორე განყოფილების დასასრულს ტფილისელებმა რამდენჯერმე დააყენეს მოწინააღმდეგე სერიოზული საფრთხის წინაშე და შესძლეს ერთი ბურთის გატანა. დამარცხებამ მოსკოველების გაცხოველებული თამაში გამოიწვია და მალე სტუმრებმა გაქვითეს ანგარიში. თამაში დასრულდა 1:1.

“კომუნისტი”, 1 ივნისი, 1936 წ.